(1999)

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს **<u>გადაწყვეტილება</u> აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების შემდგომი ნაბიჯების შესახებ**

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი-სახელმწიფოების მეთაურთა საბჭო,

აღნიშნავს რა თავის უცვლელ ერთგულებას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი,

კვლავ ადასტურებს რა თავის ადრინდელ, კერძოდ, "აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ~ 1996 წლის 19 იანვრის, "აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდაჭერისა და ოპერაციის განვითარების შესახებ~ 1997 წლის 28 მარტის, "აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების მიმდინარეობის შესახებ~, 1997 წლის 28 მარტის, "აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოგვარების დამატებით ღონისძიებათა შესახებ~ 1998 წლის გადაწყვეტილებებს, მიმართულს აფხაზეთში, საქართველო, სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევისაკენ და ხაზს უსვამს რა მათი განუხრელი შესრულების აუცილებლობას,

აღნიშნავს რა კონფლიქტის მონაწილე ქართული და აფხაზური მხარეების ჟენევისა და ათენის შეხვედრების მნიშვნელობას, რომლებიც რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის, ეუთოს და "გაეროს გენერალური მდივნის მეგობარ სახელმწიფოთა ჯგუფში~ შემავალი სახელმწიფოების წარმომადგენელთა თანდასწრებით გაიმართა,

აღნიშნავს რა აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტების მოწესრიგების პროცესში გაეროს აქტიურ როლს და ხაზს უსვამს რა მისი გაძლიერების აუცილებლობას,

აღიარებს რა მშვიდობიანი ვითარების შექმნაში კოლექტიური სამშვიდობო ძალებისა და გაეროს მეთვალყურეთა მისიის როლის მნიშვნელობას, რამაც მხარეები უზრუნველყო მოლაპარაკების ხელსაყრელი პირობებით მოწესრიგების პროცესის წინწასაწევად,

იზიარებს რა გაეროს უშიშროების საბჭოს შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეებმა ვერ მოახერხეს ხელი მოეწერათ შეთანხმებისათვის "ოქმი მშვიდობისა და შეიარაღებული შეტაკებების აღკვეთის გარანტიების შესახებ~ და "ოქმი გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნების და ეკონომიკის აღდგენის ღონისძიებათა შესახებ~ და მხარს უჭერს რეკომენდაციას მხარეთა მიმართ განაახლონ ამ მიზნით ორმხრივი მოლაპარაკებები,

ადასტურებს რა ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა განუყოფელ უფლებას დაბრუნდნენ თავიანთ მშობლიურ ადგილებში აფხაზეთში, საქართველო,

გადაწყვიტა:

1. ცნობად მიიღოს დსთ-ს აღმასრულებელი სამდივნოს ინფორმაცია "აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების დამატებით ღონისძიებათა შესახებ~ თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს 1998 წლის გადაწყვეტილებათა შესრულების თაობაზე.

2. თანამეგობრობის წევრი-სახელმწიფოები შემდგომშიც აღმოუჩენენ სრულ მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, მხარეთა მიერ აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის უსწრაფესი სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევის, ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა მათ ადრინდელ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების მიზნით.

3. მოუწოდოს დსთ წევრ-სახელმწიფოებს დადებითად განიხილონ და წარმოადგინონ კონკრეტული წინადადებები "ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების გამოყენების შესახებ~ სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს 1994 წლის, აგრეთვე, აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ~ შემდგომი გადაწყვეტილების ხელმომწერი თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურებისადმი აფხაზეთში, საქართველო, კოლექტიური სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში სამხედრო კონტინგენტის, მეთვალყურეების გამოყოფის ან დსთ სამშვიდობო ოპერაციებში სხვა შესაძლებელი ფორმებით მონაწილეობის თაობაზე თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს თავმჯდომარის, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბ. ელცინის მიერ 1999 წლის 13 თებერვალს გაგზავნილ მიმართვასთან დაკავშირებით.

4. თანამეგობრობის წევრ-სახელმწიფოთა საგარეო-პოლიტიკურ და სამხედრო უწყებათა ხელმძღვანელებმა, რომელთაც ეხებათ მე-3 პუნქტში აღნიშნული მიმართვა, გამართონ კონსულტაციები რუსეთის ფედერაციასთან ერთად სამშვიდობო ოპერაციაში ამ სახელმწიფოთა რეალური მონაწილეობის შესაძლებელი ფორმების შეთანხმების მიზნით, კოლექტიური სამშვიდობო ძალების დადგენილი რაოდენობიდან _ 3 ათასი კაცი _ გამომდინარე.

5. დაბეჯითებით ურჩიოს მხარეებს, რომ ერთი თვის ვადაში დაასრულონ შეთანხმების "მშვიდობისა და შეიარაღებული შეტაკებების აღკვეთის გარანტიების შესახებ~ და "გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნებისა და ეკონომიკის აღდგენის შესახებ ოქმის~ პროექტების შეთანხმება და ხელი მოაწერონ აღნიშნულ დოკუმენტებს.

6. პრინციპში დაეთანხმონ წინადადებას აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების ყოფნის ვადის გაგრძელების შესახებ 6 თვით ან იმ დრომდე, ვიდრე კონფლიქტის რომელიმე მხარე გამოთქვამს აზრს ოპერაციის შეწყვეტის შესახებ. ეს გადაწყვეტილება ძალაში შედის მე-4 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტების ხელმოწერის შემდეგ, მაგრამ თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას მითითებულ ვადებში, განიხილონ კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების შემდგომი ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხი.

დამტკიცდეს დსთ-ს სამშვიდობო ძალების მანდატი 1999 წლის 2 აპრილამდე.

7. მოხდეს იმ ღონისძიებათა შესრულების უზრუნველყოფა, რომლებიც გათვალისწინებულია დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს 1997 წლის 28 მარტისა და 1998 წლის გადაწყვეტილებების იმ ნაწილში, რომელიც ეხება უშიშროების ზონის გაფართოებას და დახვეწონ კონფლიქტში მონაწილე მხარეების მიერ შემუშავებული კოლექტიური სამშვიდობო ძალების გადაადგილების მექანიზმები.

8. დაუშვებლად ჩაითვალოს აფხაზეთში, საქართველო, პირველ რიგში, გალის რაიონში (ძველ საზღვრებში), ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობებში ორგანიზებული დაბრუნების პროცესის გაჭიანურება.

დაბეჯითებით მოუწოდოს აფხაზურ მხარეს კვლავ დაუბრუნდეს ამ საკითხს, განიხილოს და დადებითად გადაწყვიტოს იგი.

ლტოლვილთა დაბრუნებისათვის შეწინააღმდეგების, რეგიონში მშვიდობისა და უშიშროებისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში, განიხილოს სამშვიდობო ოპერაციის ხასიათსა და არსში ამგვარ შემთხვევებში გაეროს წესდების ადეკვატური დებულებების საფუძველზე გამოსაყენებელი შესაბამისი ცვლილებების შეტანის საკითხი.

9. დაბეჯითებით გაუწიოს რეკომენდაცია კონფლიქტში მონაწილე მხარეებს გადაწყვიტონ გალის რაიონში (ძველ საზღვრებში) ლტოლვილთა დაბრუნების საკითხი და ცხოვრების სრული ნორმალიზაციის ეტაპზე შექმნან დროებითი გარდამავალი ადმინისტრაცია, რომელიც იმუშავებდა შუამავალთა, გაეროს და ეუთოს უშუალო მონაწილეობით.

10. რეგიონის ეკონომიკური აღორძინების ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა მხოლოდ მდგრად, ორგანიზებულ დაბრუნებასთან უშუალო და პირდაპირ კავშირში.

11. დაევალოს თანამეგობრობის წევრი-სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს და თავდაცვის მინისტრების საბჭოს აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოგვარების შესახებ დსთ-ს მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში მაკოორდინირებელი როლის უზრუნველყოფის მიზნით 1999 წლის 1 ივლისამდე შექმნან ოპერატიული სამუშაო ჯგუფი დსთ წევრი დაინტერესებული სახელმწიფოების, აღმასრულებელი სამდივნოსა და თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების სამხედრო თანამშრომლობის საკოორდინაციო შტაბის წარმომადგენელთაგან. დსთ-ს აღმასრულებელმა სამდივნომ ორგანიზაციულად უზრუნველყოს აღნიშნული დავალების შესრულება, ჯგუფის შესახებ დებულების შემუშავების ჩათვლით.

12. თავდაცვის მინისტრების საბჭომ თავისი სამუშაო ორგანოს _ დსთ წევრი-სახელმწიფოების სამხედრო თანამშრომლობის საკოორდინაციო შტაბის საშუალებით განახორციელოს კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის სამხედრო ასპექტების ოპერატიული ხელმძღვანელობა.

13. დაევალოს დსთ აღმასრულებელ სამდივნოს გაეროს სამდივნოში გაგზავნოს თხოვნა, განიხილონ საკითხი საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის შემადგენლობაში დსთ წევრი დაინტერესებული სახელმწიფოების წარმომადგენელთა ჩართვის შესახებ.

14. დაევალოს დსთ-ს წევრ-სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს და თავდაცვის მინისტრების საბჭოს თანამეგობრობის აღმასრულებელ სამდივნოსა და თანამეგობრობის წევრ-სახელმწიფოთა სამხედრო თანამშრომლობის საკოორდინაციო შტაბის წარმომადგენელთა მონაწილეობით განახორციელოს ამ გადაწყვეტილების შესრულების კონტროლი.

15. თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს ეს გადაწყვეტილება ეცნობოს გაეროს უშიშროების საბჭოს.

შესრულებულია **1999 წლის 2 აპრილს** ქ. მოსკოვში რუსულ ენაზე ერთ დედნად...

ხელმოწერილია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურების მიერ.

გადაწყვეტილებას ხელი არ მოაწერეს მოლდოვას რესპუბლიკამ, ბელარუსის რეპუბლიკამ, თურქმენეთმა.

(www.un.org/russian; Сборник документов, касающихся вопроса урегулирования конфликта в Абхазии, Грузия, принятых в период 1992 по 1999 г.г., составитель Г. Уридия, Тб., 1999, გვ. 127-129. საკუთარი თარგმანი)